რომელმაც (ალლაჰის) მსახურმა გულით გულწრფელად აღიარა, რომ არ არსებობს სხვა ღვთაება, რომელიც ღირსია თაყვანისცემის, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი მისი მსახური და მისი მოციქულია, ალლაჰი მას აუცილებლად აკრძალავს ცეცხლში შესვლას

ანასი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: ერთხელ, როცა მოციქული (ალლაჰის მშვიდობა და კურთხევა მასზე) ცხენით მგზავრობდა, ხოლო მის უკან, უნაგირში, მუ'აზი იჯდა, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «მუ'აზ!» მუ'აზმა მიუგო: "აქ ვარ შენს წინაშე, ო ალლაჰის მოციქულო, ბედნიერი ვარ შენი მსახურებით!" მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კვლავ უთხრა: «მუ'აზ!», შენს წინაშე ვარ, ო, ალლაჰის მოციქულო, ბედნიერი ვარ შენი მსახურებით!" ასე განმეორდასამჯერ და შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «რომელმაც (ალლაჰის) მსახურმა გულით გულწრფელად აღიარა, რომ არ არსებობს სხვა ღვთაება, რომელიც ღირსია თაყვანისცემის, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი მისი მსახური და მისი მოციქულია, ალლაჰი მას აუცილებლად აკრძალავს ცეცხლში შესვლას ». მუ'აზმა ჰკითხა: "ო, ალლაჰის მოციქულო, არ უნდა გავაგებინო ეს ხალხს, რომ გაიხარონ?" მან უპასუხა: «მაშინ ისინი მხოლოდ იმედს დაამყარებენ და დატოვებენ საქმეს (მსახურებას)», - მიუხედავად ამისა, მუ'აზმა ეს სიტყვები თავის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გაამხილა, რადგან თვლიდა, რომ მათი დამალვა ცოდვა იქნებოდა (სასარგებლო ცოდნის დამალვის გამო).
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მუ'აზ იბნ ჯაბალი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უკან იყო შემომჯდარი ცხენზე ან აქლემზე, და მას მიმართა ჰეი, მუაზ? მან ეს სამჯერ გაუმეორა; იმის მისათითებლად, რომ ის რის თქმასაც აპირებდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამ ყველაფერს მუ'აზი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შემდეგი სიტყვებით პასუხობდა: "აქ ვარ შენს წინაშე, ო ალლაჰის მოციქულო, ბედნიერი ვარ შენი მსახურებით!", ანუ: გპასუხობ შენ ო, ალლაჰის შუამავალო, პასუხს გცემ და მწამს შენი. ბედნიერებას შენზე მორჩილებაში ვეძებ. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მას უთხრა, რომ ვინც დაამოწმებს, რომ არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა, ანუ: არ არსებობს ჭეშმარიტი სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა, და რომ მუჰამმადი ალლაჰის შუამავალია, წრფელი გულით ტყუილის გარეშე ამას დაამოწმებს და ის ამ მდგომარეობაში გარდაიცვლება, ალლაჰმა მისი დაწვა აუკრძალა ჯოჯოხეთს. მუ'აზი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შეეკითხა შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), ემცნობებინა თუ არა ეს ხალხისთვის რათა გაეხარათ და გაბედნიერებულიყვნენ ამ სიკეთით? შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შეეშინდა, რომ ისინი მხოლოდ ამაზე დაიმედდებოდნენ და შეამცირებდნენ საქმეებს. მუ'აზს ამის შესახებ არავისთვის მოუყოლია,

გარდა მაშინ როცა მას სიკვდილი ეწვია; იმის შიშით რომ ის ჩაიდენდა ცოდვას ცოდნის დამალვით.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/10098

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee